პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 216 (3193) 5 1966 წ. ნოემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ყინვაში გაყოფილი ქულები

მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 4 ნოემბერი.
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (1:1).
„სპარტაკი": მასლაჩენკო, ქიტკუსი, დიკარევი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, რეინგოლდი, სიომინი (იანკინი), ოსიანინი, ჰუსაინოვი.
„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა (შერგელაშვილი), პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.
მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).
დუბლიორთა მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 3:0.

„მეტეოროლოგიურ" პირობებს ამ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სიცივის ფაქტორი ძალიან აღელვებდა დინამოელთა ხელმძღვანელობას და ფეხბურთელებს. ჩვენი გუნდი მინდორზე რეიტუზებში და ხელთათმანებით გამოვიდა.

სპარტაკელები საგანგებო ყურადღებით მიუდგნენ თამაშს. ისინი უკანასკნელად ამოწმებდნენ თავიანთ მზადყოფნას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ვენის „რაპიდთან" შეხვედრის წინ, ხოლო თბილისელები „იღებდნენ" სინჯს სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე მეტად საპასუხისმგებლო ტურნესთვის. შეხვედრისადმი ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ მეტოქეთა შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ ორს უდრიდა და წარმატება რამდენიმე საფეხურით მაღლა სწევდა გუნდს გათამაშების ცხრილში.

ვინც ორიოდე წუთით მაინც დაიგვიანა მატჩზე, ვერ ნახა პირველი გოლი. მისი ავტორი იყო რეინგოლდი, რომელმაც ზუსტად დააგვირგვინა „სპარტაკის" პირველივე შეტევა. თბილისელებმა მარცხს მძაფრი იერიშებით უპასუხეს და გაშლილი ფრონტით შეუტიეს მეტოქეს. იამანიძე აქტიურად ეხმარებოდა ნახევარდაცვას, შეტევის დროს კი სწრაფად უბრუნდებოდა თავდასხმის ხაზს. ხშირად იცვლიდნენ ადგილებს დათუნაშვილი და მეტრეველი. იგრძნობოდა, რომ მასლაჩენკოს კარში გოლი მწიფდებოდა. ასეც მოხდა! მე-19 წუთზე ერთ-ერთი კომბინაციის დასასრულს მეტრეველმა წამით დაასწრო მცველს და ზუსტი დარტყმით გაქვითა ანგარიში — 1:1.

30-ე წუთზე მესხმა ჩააწოდა კარის სიახლოვეს მყოფ მეტრეველს, მაგრამ ამჯერად მას უკვე დაასწრო კრუტიკოვმა და ბურთი გადააბარა... ხართიშვილს. უძლიერესი დარტყმა ოდნავ აცდა კარს.

მეორე ნახევარი წარიმართა სპარტაკელთა უპირატესობით. განსაკუთრებით აქტიურობდა რეინგოლდი.

66-ე წუთზე დინამოელთა ერთ-ერთ მცველთან შეჯახებისას საჯარიმო მოედანზე იგი წაიქცა, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ჯარიმის რეალიზება მიენდო ლოგოფეტს. ორიოდე წამის შემდეგ ტრიბუნებს მქუხარე ტაში მოწყდა. იგი ეკუთვნოდა ურუშაძეს, რომელმაც შესანიშნავ ნახტომში მოიგერია ბურთი კუთხურზე. საერთოდ, თბილისელთა მეკარემ ჩინებულად ითამაშა.

ეს იყო და ეს. შემდგომში მატჩში დასამახსოვრებელი ფრაგმენტები აღარ ყოფილა. მეტოქეებმა გაიყვეს ქულები.

ო. ნოზაძე.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## მატჩები, გოლები, კომენტარები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. გუშინწინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლენინგრადის „ზენიტმა" საკუთარ მინდორზე წააგო ტაშკენტის „პახტაკორთან" — 1:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს აბდურაიმოვმა და იბრაჰიმოვმა, ხოლო „ზენიტის" მხრივ — სადირინმა.

გუშინ ერევანში „არარატმა" მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს" — 2:0.

დონეცკის „შახტიორისა" და მინსკის „დინამოს" შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა იგივე ანგარიში. გაიმარჯვა „შახტიორმა".

როსტოვის არმიელთა გუნდი ოდესაში ეთამაშა „ჩერნომორეცს". სტუმრებმა დაამარცხეს მეტოქე — 1:0.

# საჭიდაო ციებ-ცხელება

ანკარა, 3 ნოემბერი. თურქეთის დედაქალაქში დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა მოჭიდავეების ვიზიტი. როგორც ცნობილია, თავისუფალი სტილის ჩვენმა ათლეტებმა პირველი შეხვედრა ადგილობრივ ფალავნებთან ფრედ (4:4) დაამთავრეს. მეორე მატჩი კვლავ ანკარაში გაიმართა. საბჭოთა მოჭიდავეებმა ამჯერად გამარჯვებას მიაღწიეს — 5:3.

გაზეთების ცნობით, ასპარეზობის დაწყებამდე 4 საათით ადრე დარბაზში ყველა ადგილი დაკავებული იყო. ხალიჩასთან მოჭიდავენი პოლიციის დახმარებით მიდიოდნენ. შეჯიბრების ადგილამდე ვერ მიაღწია თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარემ ფერუჰ ბოზბეილიმ. მხოლოდ სამხედრო ხელოვნების ცოდნა დაეხმარა გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ჯემალ თურალს მოხვედრილიყო მატჩზე. გარეთ დარჩენილმა ბილეთიანებმა გული იმით იჯერეს, რომ დარბაზის ფანჯრების ნახევარზე მეტი ჩაამტვრიეს.

## ნაუცბათად

პუებლო, 3 ნოემბერი. მექსიკაში თავიანთი ტურნეს ბოლო მატჩი გამართეს სსრ კავშირის ნაკრების ქალმა კალათბურთელებმა. აქ ისინი შეხვდნენ მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებს და გაიმარჯვეს — 75:71. საბჭოთა კალათბურთელებს ... წააგიათ მომავალი ოლიმპიადის ქვეყანაში.



▲ პრაღა, 3 ნოემბერი. მექსიკაში ამას წინათ გამართულ „საერთაშორისო II სპორტულ კვირეულში" მონაწილეობის შემდეგ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ჩასლავსკა თავის მწვრთნელთან ი. მატლოხოვასთან ერთად ბრაზილიას გაემგზავრა. სახელგანთქმული ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე იქ რამდენიმე შეჯიბრებაში გამოვა.

▲ **ფრიპორტი** (ბაგამის კუნძულები), **3 ნოემბერი.** წყალში სარეკორდო ნახტომი განახორციელა ბაგამის კუნძულების მკვიდრმა, 24 წლის ეველინ პატერსონმა. წყალში ჩაშვებამდე მან 38,1 მ გაიფრინა. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება წლეულს აგვისტოში იულიანა კრეპლიანის (იტალია) მიერ დამყარებულ წინა რეკორდს — 35 მეტრს (მსოფლიოს ეს რეკორდები არაოფიციალურია).

# 14 უძლიერესი ცნობილია

ჰავანა, 4 ნოემბერი. მცირე შესვენების შემდეგ მოჭადრაკეთა XVII მსოფლიო ოლიმპიადის მონაწილენი დაფებს მიუსხდნენ VII ტურში, რათა გამოევლინათ მსოფლიოს გუნდური პირველობის მთავარი პრიზის 14 პრეტენდენტი. ეს უფლება მოიპოვა ყოველი 7 ნახევარფინალური ჯგუფის ორ-ორმა უძლიერესმა გუნდმა. საბჭოთა დიდოსტატები ესპანელებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 2,5:1,5. ბ. სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. პომართან, მ. ტალმა მოუგო ა. ბენიელს, ლ. პოლუგაევსკიმ — ე. ფრანკოს. ვ. კორჩნოიმ წააგო რ. კალვასთან (ეს ჩვენი გუნდის ერთადერთი დამარცხებაა).

ამრიგად, უძლიერესთა ფინალში გავიდნენ შემდეგი გუნდები: სსრ კავშირი — 24,5 ქულა, ესპანეთი — 20,5 (I ჯგუფი), იუგოსლავია — 21, ისლანდია — 13,5 (II ჯგუფი), აშშ — 17,5 (1 გადადებული პარტია), პოლონეთი — 16,5 (III ჯგუფი), არგენტინა — 20,5, დანია — 18 (IV ჯგუფი), ჩეხოსლოვაკია — 21, გდრ — 19 (V ჯგუფი), უნგრეთი — 23,5, კუბა — 21 (VI ჯგუფი), რუმინეთი — 22,5, ბულგარეთი — 21,5 (VII ჯგუფი).



## ფოტო თვალით

აპარის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყო IV საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

სურათებზე: მარცხნივ — „სპარტაკისა" და „დინამოს" კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი (გაიმარჯვეს სპარტაკელებმა); მარჯვნივ — ორმოსასმელიანი ბაიდარებით 500 და 1000 მეტრზე სპარტაკიადის ჩემპიონები დ. დავიდოვი და ბ. დიასამიძე („დინამო") შეჯიბრებისას.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.



„ა" ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 5 ნოემბრისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| ასკ (როსტოვი) | 33 | 18 | 6 | 9 | 50—42 | 42 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 32 | 15 | 8 | 9 | 48—25 | 38 |
| ცსკა | 31 | 15 | 7 | 9 | 57—41 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 31 | 14 | 8 | 9 | 48—32 | 36 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 32 | 15 | 6 | 11 | 31—30 | 36 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 31 | 10 | 15 | 6 | 33—27 | 35 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 31 | 12 | 11 | 8 | 38—34 | 35 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 32 | 12 | 10 | 10 | 28—31 | 34 |
| „დინამო" (თბილისი) | 31 | 11 | 11 | 9 | 39—29 | 33 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 32 | 11 | 11 | 10 | 39—32 | 33 |
| „დინამო" (მინსკი) | 35 | 10 | 13 | 12 | 34—38 | 33 |
| „არარატი" (ერევანი) | 33 | 11 | 10 | 12 | 27—42 | 32 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 33 | 8 | 12 | 13 | 25—34 | 28 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 35 | 10 | 8 | 17 | 35—52 | 28 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 34 | 11 | 4 | 19 | 32—46 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 34 | 4 | 15 | 15 | 18—40 | 23 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| ასკ (ოდესა) | 31 | 1 | 10 | 20 | 13—50 | 12 |

# სპორტული ნოემბერი

სინოპტიკოსები იუწყებიან: წლეულს ნოემბერი ყველაზე პირქუში თვე იქნებაო. რა გვეთქმის: ეს არც ისე სასურველი პერსპექტივაა სპორტული შეჯიბრებისათვის. ზამთარი თავისი ყინულოვანი ბილიკებითა და თოვლიანი დისტანციებით ჯერ კიდევ არ ჩანს, ზაფხული კი კარგა ხანია მიიწურა. საკვირველი როდია, რომ სულ ცოტა ხნის წინ წელიწადის ეს დრო ყველაზე „წყნარად" ითვლებოდა სპორტული თვალსაზრისით.

მაგრამ დღეს ყოველივე ეს მოგონებად იქცა. შუალედები სეზონებს შორის პრაქტიკულად გაქრა სსრ კავშირის სპორტული ცხოვრებიდან. შუა შემოდგომით იმდენივე შეჯიბრება ეწყობა, რამდენიც ზაფხულში. ამ ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია ნოემბრის სპორტულ კალენდარს გაეცნოთ.

დავიწყოთ საერთაშორისო შეჯიბრებებით. განზრახულია ჩატარდეს 70-ზე მეტი შეხვედრა. შორეულ კუბაში მიმდინარეობს საჭადრაკო ოლიმპიადა (მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური მსოფლიო პირველობა). სსრ კავშირის მოჭადრაკეების — ბოლო 7 ოლიმპიადის უცვლელი ჩემპიონების ვალია კვლავ დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება.

უცხოეთის სტადიონებზე გამოვლენ საბჭოთა ფეხბურთელები. მინსკის დინამოელები ითამაშებენ ნიდერლანდებში, ლენინგრადის „ზენიტი" — ბირმაში, რსფსრ-ს ნაკრები — ალჟირსა და მაროკოში, ფრუნზეს „ალგა" — პაკისტანსა და ცეილონში, უკრაინის ნაკრები — სენეგალში, მალიში და გვინეაში, როსტოველი არმიელები — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ლიბანში, ლვოველი არმიელები — უგანდაში, კენიასა და ზამბიაში, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" — სირიასა და ლიბანში, ერევნის „არარატი" — ირანსა და ერაყში, თბილისის „დინამო" — ბრაზილიაში, ურუგვაიში, ჩილისა და პერუში, ალმა-ათის „კაირატი" — დაგომეაში, ნიგერიასა და კამერუნში, ტაშკენტის „პახტაკორი" — რუმინეთში.

5-9 ნოემბერს საბჭოთა ხუთჭიდელები გამოვლენ ავსტრალიაში, მსოფლიო პირველობაზე. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები იბრძოლებს ევროპის თასისთვის. კონტინენტის ჯილდოსთვის იასპარეზებენ, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის ხელბურთელი ვაჟები და მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები.

საქართველოს ხელბურთელთა ვაჟები ესტუმრებიან ჩეხოსლოვაკიას, ხოლო აზერბაიჯანის ფრენბურთელი ქალები — პოლონეთს. კიშინიოველი მძლეოსნები შეხვდებიან ქ. იასის (რუმინეთი) სპორტსმენებს, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები — სალნოკის (უნგრეთი) გუნდს, თურქმენეთის ძალოსნები — კუბელ სპორტსმენებს.

არანაკლებ საინტერესოა საკავშირო კალენდარი. 15-20 ნოემბერს ტაშკენტში გათამაშდება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების საკავშირო პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. ნოემბერშივე გაიმართება საკავშირო შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში (ყაზანი და კრასნოდარი), წყალბურთში (ბაქო), მძლეოსნობაში (კისლოვოდსკი), ჩოგბურთში (დუშანბე).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ფეხბურთელთა წლევანდელმა ჩემპიონატმა უჩვეულოდ დიდხანს გასტანა და 2 დეკემბერს დამთავრდება, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია. ეს გახლავთ კიევის „დინამოს" გუნდი. ახალ ჩემპიონებს კვლავ მოუწევთ საინტერესო შეჯიბრებაში გამოსვლა. ეს არის ფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე, რომელიც 8 ნოემბერს მოსკოვში გაიმართება.

ნოემბერში კიდევ ბევრი სხვა შეჯიბრებაა.

ახალი წიგნები სპორტი

# რას ღაღადებს ცხრილი

რუსთავის სპორტკავშირის თავმჯდომარის ო. ჯიბაშვილის კაბინეტში რომ შეხვალთ, თქვენს ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ქალაქის IV საიუბილეო სპარტაკიადის შედეგების ცხრილი მიიპყრობს.

სპარტაკიადის პროგრამაში 16 სახეობა შედიოდა. მოასპარეზე 14 კოლექტივიდან ყველაზე სუსტად „ქიმმრეწვმშენის" სარემონტო-სამშენებლო კანტორის სპორტსმენები გამოვიდნენ. მათ მხოლოდ ქართულ ჭიდაობაში გამოიყვანეს გუნდი და აქაც ბოლო ადგილი ხვდათ. უფრო „გაისარჯნენ" ქალაქის კომუნალური განყოფილების ფიზკულტურელები, რომელთაც ფარიკაობასა და ჭადრაკში სცადეს ძალები. მოფარიკავეებმა I ადგილი დაიკავეს, მოჭადრაკეებმა... ბოლო.

დიდი მონდომებით მაინცდამაინც არც რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის სპორტსმენები გამოირჩეოდნენ. ამ კოლექტივის წარმომადგენლები მხოლოდ მძლეოსნობასა და ცურვის ჯალკეულ სახეობებში ასპარეზობდნენ. ამწემშენებლებმა კი სპარტაკიადაში თავიანთი ნიჩბოსნების, მოცურავეებისა და მოჭადრაკეების „დესპანობა" იკმარეს.

მაგრამ თუ ამ ახალბედა, არც თუ ხალხმრავალ კოლექტივებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ვერ წავუყენებთ, მაგალითად, მეცემენტეები უთუოდ საყვედურის ღირსი არიან. მათ მთელი ძალა ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირს შეალიეს (III ადგილი), მოცურავეთა გუნდურ ჩათვლაში კი მხოლოდ ერთ მეტოქეს აჯობეს გაჭირვებით.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში მონაწილეობდა მხოლოდ 3 კოლექტივი — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" №1 ტრესტის, მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური კომბინატის. ცხადია, კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლაც მათ შორის გაჩაღდა. შედეგები რომ შეჯამდა, ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მეტალურგებს აღმოაჩნდათ. მათ 14 ქულით აჯობეს მშენებლებს.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში რუსთაველი ათლეტები კარგად არიან მომზადებული და შესწევთ რესპუბლიკურ ასპარეზობაში გამარჯვებისთვის ბრძოლის უნარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამავე სპარტაკიადამ გამოავლინა ბევრი ნაკლოვანებაც. მაგალითად, ტანმოვარჯიშეთა ტურნირში მხოლოდ 32 სპორტსმენი მონაწილეობდა: 21 — განათლების განყოფილების გუნდიდან, 6 — მეტალურგიული ქარხნიდან, დანარჩენი ხუთი კი — 4 სხვადასხვა კოლექტივიდან. როგორც ჩანს, მეტალურგთა ქალაქში ეს სახეობა მაინცდამაინც დიდი პატივისცემით არ სარგებლობს.

მეტად ღარიბი იყო ნიჩბოსანთა შეჯიბრების პროგრამა. მოასპარეზენი მარტო ერთ და ორადგილიან ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ცდიდნენ ძალას.

არც კრივის საქმეა კარგად. ქალაქში გაკრული აფიშები იტყობინებოდნენ — ტურნირი ორ დღეს გაგრძელდებაო, მაგრამ იგი დამთავრდა... რამდენიმე საათში, ვინაიდან სრული გუნდი მარტო მეტალურგებმა და მშენებლებმა გამოიყვანეს. სხვა კოლექტივებმა სპარტაკიადისთვის ძლივს გამოძებნეს თითო-ოროლა მოკრივე, რომელთა უმრავლესობა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ავეტისოვმა პირველ შეხვედრებიდანვე მოხსნა მოუმზადებლობისთვის.

დოსააფის რუსთავის საქალაქო კომიტეტის უნიათო მუშაობის შედეგია, რომ ქალაქს ერთი ხეირიანი სასროლეთიც არ გააჩნია, რის გამოც ტყვიის მსროლელთა ასპარეზობა (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით და მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა) გარდაბანში ჩატარდა.

ბაზების სიმცირითა და ფიზკულტურული კოლექტივების ცუდი მუშაობით აიხსნება სპარტაკიადის მონაწილეთა უმრავლესობის მომზადების დაბალი დონე ცურვაში, ტყვიის სროლაში, მძლეოსნობაში... მაგალითად, მძლეოსნობაში გამარჯვებულთა შედეგები ასეთია: ქალები. რბენა: 100 და 400 მ — ზ. ნესტერენკო (მშენებელი) — 13,4 და 1.09,8; 200 მ — თ. ვარდიაშვილი (მეტალურგიული ქარხანა) — 30,2; 800 მ — გ. ქუმსიაშვილი (მშენებელი) — 2.40,4; სიმაღლეზე ხტომა — გ. გუტკოვა (მეტალურგიული ქარხანა) — 140 სმ; სიგრძეზე ხტომა — ზ. პეტროვა — 450 სმ; შუბის ტყორცნა — ა. წამალაშვილი (ორივე — მშენებელი) — 39,40; ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა — ქ. კახიშვილი (მეტალურგიული ქარხანა) — 12,75 და 44 მ (I თანრიგის ერთადერთი შედეგი). ვაჟები. რბენა: 100 და 400 მ — ვ. აფონკო (მშენებელი) — 11,4 და 52,1; 200 მ — ვ. რომანოვი („დინამო") — 23,6; 800, 1.500 და 5.000 მ — ა. კნიაზევი — 2.06,5; 4.23,6 და 17.29,2; 110 მ თარჯრბენი — რ. კრავცოვი — 19,2; სიგრძეზე ხტომა — ვ. ნევილკო — 650 სმ; ბადროს ტყორცნა — ნ. გოქაძე (ყველა — მეტალურგიული ქარხანა) — 33,75; სიმაღლეზე ხტომა — ვ. დენისენკო — 180; შუბის ტყორცნა — ა. კობზევი (ორივე — მშენებელი) — 44,70; სამხტომი — ვ. როდიონოვი (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა) — 12,55; ესტაფეტა 4×100 მ — „დინამო" — 45,8.

მძლეოსნობაში, ისევე, როგორც ფრენბურთში (ვაჟებმა), ძალოსნობაში, ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ტყვიის სროლაში, ნიჩბოსნობაში, კრივში, ტანვარჯიშში ყველას აჯობეს მეტალურგებმა, ჩოგბურთსა და ჭადრაკში ჩემპიონობა ქიმიური კომბინატის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. მათვე იმარჯვეს ფრენბურთელ და კალათბურთელ ქალთა ტურნირში. კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი მოიგო საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის კოლექტივმა. აღსანიშნავია, რომ მეტალურგებმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში წარმატებას თითქმის ერთი და იმავე ათლეტების წყალობით მიაღწიეს. მაგალითად, ა. მენაბდიშვილი, ვ. ლაფაჩიშვილი, პ. ჯიოშვილი, შ. ჩაჩხიანი უძლიერესნი იყვნენ როგორც კლასიკურ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო ა. პაპუაშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

 რ. გაბრიეძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *





სურათებზე: მარცხნივ — ძალოსნობაში გამარჯვებული ვ. მარდალეიშვილი (მეტალურგიული ქარხანა) ასპარეზობისას; მარჯვნივ — ქიმიური კომბინატის ჩოგბურთის მოედანზე ლამაზობენ დინამოელი და მეტალურგი სპორტსმენები.

ფოტო ავტორისა.

ოქტომბრის 50 საიუბილეო სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

# მოხეტიალე... მატჩი

თბილისი. „ისნის" სტადიონი. 3 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 6:0 (0:0).

თბილისი: აკოფოვი, ოსეფაიშვილი, თოფურიძე (მაისურაძე), პეტრიაშვილი, კეთილაძე, ღადუა, მგელაძე, ხვედელიძე, ლობჟანიძე, კვინიხიძე, კოდუა, ლვინიაშვილი, აროიანცი, აბაშიძე, კიზირია, კეშელავა.

ლენინგრადი: კაზაკოვი, აპოლონოვი, ვეპრევი, აბრამოვი, რიჟენკინი, ვორობიოვი, გლიბოვსკი. ბარაბანოვი, მაკაროვი, ტიმოშჩუკი, კოროლიოვი, ბელონენკო, ტეტენკინი, მუნშტუკოვი, დიაკონოვი.

მსაჯი: ა. დანილოვი (მოსკოვი).

დავიწყოთ იმით, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობის წყალობით, ამ გუნდების შეხვედრის ადგილი ბოლო მომენტამდე გაურკვეველი დარჩა. მეტოქეს შეუთანხმდნენ და მატჩი თვითნებურად გადაიტანეს „ლოკომოტივის" სტადიონზე. ბილეთებიც გაიყიდა და ეს გადაწყვეტილება მერეღა აცნობეს ტურნირის მთავარ მსაჯს. იგი, რა თქმა უნდა, არ დასთანხმდა ამ უსაფუძვლო წინადადებას და რეგბისტებმაც ისევ „ისნის" სტადიონს მიაშურეს.

ლენინგრადის „სპარტაკმა" ფინალურ ტურნირში ჯერჯერობით ვერ შეძლო ქულის აღება. თამაშის წინ მისმა მწვრთნელმა განაცხადა: „უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს. ვიბრძოლებთ მხოლოდ გამარჯვებისთვის".

მართლაც, „სპარტაკმა" იერიშით დაიწყო, მაგრამ ვალში არც თბილისელები დარჩნენ, თუმცა კონტრშეტევისას კიზირიამ და აროიანცმა ორჯერ ვერ გამოიყენეს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მასპინძლების თამაშში თანდათან იჩინა თავი ნერვიულობამ, რაც, ალბათ, მატჩისწინა არევ-დარევით იყო გამოწვეული. პირველი წარუმატებელი ცდების შემდეგ ლენინგრადელებმა მეტოქის ჩასათვლელი მოედნისკენ ახალი გასასვლელები მოძებნეს, რითაც მასპინძლები აიძულეს დაცვაზე გადასულიყვნენ. თბილისელთა დაცვა გაძლიერდა 4 მოთამაშით, რომელთაც, ამავე დროს, ხელსაყრელ მომენტში იერიშში მონაწილეობაც ევალებოდათ.

დინამოელები შუა ტაიმში კვლავ შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში თბილისელთა იერიშების საპასუხოდ ლენინგრადელებმა უხეშობა დაიწყეს. მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას სტუმრებმა აკრძალული ილეთი გამოიყენეს, რისთვისაც დაჯარიმდნენ. აროიანცმა მიზანში მოახვედრა — 3:0. მარცხმა უფრო გაამწარა ლენინგრადელები. ზოგჯერ ისინი მეტოქის უბუროდ შეჩერებასაც აღარ ერიდებოდნენ, რითაც წყალს „დინამოს" წისქვილზე ასხამდნენ. მატჩის დამთავრებამდე კიზირიამ კარგად გამოიყენა საჯარიმო — 6:0.

დარჩენილ დროში ვერც ერთმა გუნდმა ვეღარ შეცვალა ანგარიში.

დ. ლოლაძე.

---

# დაცვაზე ვინ იფიქროს?

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 3 ნოემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 12:14 (9:5).

თბილისი: პეტრიაშვილი, მ. ბენიაშვილი, კირტავა, დავითაია, ფაჩიშვილი, ხვანიძე, შ. ბენიაშვილი, ყიფიანი, რაფავა, მიქაბერიძე, ჩუბინიშვილი, ჯაფარიძე, ოქრუაშვილი, გეგეშიძე, რუხაძე.

მოსკოვი: ზოტოვი: ბურცევი, ევირინი, ჟილინი, მიტროხოვი, ხოკოლოვი, პეტუხოვი, სოლოვიოვი, მიროშნიჩენკო, მაკრუშინი, სიდოროვი, გორიანინოვი, კოკარევი, ისაევი, ლისტვინი.

მსაჯი: რ. ივანუხინი (ლენინგრადი).

თბილისის „დინამოსთან" პირველსავე მატჩში დამარცხების მერე რკინიგზელებმა დაკარგეს თამაშის მათებური ხელწერა — მონდომებული, მწვავე შეტევები, ვარიანტების ნაირფეროვნება და ორგანიზებული დაცვა. გუნდს შემორჩა მხოლოდ ერთი — მონდომება. თუმცა, ხანდახან იერიშის სურვილიც იჩენს ხოლმე თავს. სწორედ ამიტომ ჩაატარა უფერულად ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა შეხვედრები ლენინგრადისა და კიევის „სპარტაკთან". ასე იყო ამ მატჩშიც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა III ადგილისთვის.

თბილისელები თავიდანვე სუსტად თამაშობდნენ, მართალია, მონდომებულად, მაგრამ შეჭგუფებულნი მოქმედებდნენ, რითაც მოსკოველებს საშუალებას აძლევდნენ თავისუფლად გაეშალათ „მარაო" და ფლანგებიდან ეწარმოებინათ იერიში, რასაც მასპინძლებმა ვერა და ვერ აუღეს ალღო.

მეტოქის „მარაოს" მასპინძლებმა სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს, სიდოროვმა „ცდა" განახორციელა და იქვე ჟილინმა „რეალიზაცია" მოახდინა — 5:0. ამ მარცხს „ლოკომოტივის" მოთამაშეებმა მძაფრი შეტევით უპასუხეს, მაგრამ დირიჟორობა დიდხანს ვერავინ გაბედა და იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. მერე გუნდის გაძღოლა ისევ მიქაბერიძემ იკისრა და „ლოკომოტივმა" შესვენებამდე 9 ქულა მოიპოვა — 9:5.

შეხვედრის მეორე ნახევარში მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ერთი თბილისელი, მაგრამ 14 რკინიგზელი მაინც დიდხანს ინარჩუნებდა 4-ქულიან სხვაობას. მერე კი დაცვაში სუსტი თამაშითა და მეტოქის „მარაოს" შეუფასებლობით დინამოელებს საშუალება მიეცათ ბოლო წუთებზე შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

დასანანია, რომ ნიჭიერი რეგბისტებით დაკომპლექტებული გუნდი მისი მწვრთნელისა და მოთამაშის გ. ტონიას გარეშე (იგი სამტრედიის ზონალურ ტურნირში დაშავდა) ასე სუსტად ატარებს შეხვედრებს.

ო. ივლოშვილი.

---

# ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია

გუშინწინდელი ტურის პირველ მატჩში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის ლიდერი — მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი და კიევის „სპარტაკი". მოსკოველთა უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე აშკარა იყო. მათ ერთხელაც არ შეუნელებიათ ტემპი, გამუდმებით უტევდნენ მეტოქის ჩასათვლელ მოედანს და დიდი ანგარიშით (34:8) გაიმარჯვეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ცირიულნიკოვი, გრიგორიანცი და მგელაძე.

კიეველებმა სწორედ მგელაძის სწრაფ გარღვევებს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. იგი შესანიშნავად არჩევდა თავისუფალ ადგილს და დროულად ეუფლებოდა ბურთს. მართალია, თვითონ მგელაძემ კოლექტივს მხოლოდ 3 ქულა შესძინა, მაგრამ მისი იერიშების უვნებელსაყოფად კიეველებს ხშირად უხდებოდათ აკრძალული ხერხების გამოყენება, რისთვისაც ჯარიმდებოდნენ კიდეც. ეს ჯარიმები კი კარგად გამოიყენა გრიგორიანცმა და 16 ქულა მოიპოვა. მოსკოველებს ჩემპიონის სახელის მოპოვებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩათ.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უმაღლესი ტექ. სასწავლებელი | 4 | 4 | 0 | 0 | 71:20 | 8 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 3 | 0 | 1 | 33:19 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 2 | 0 | 2 | 36:43 | 4 |
| „სპარტაკი" (კიევი) | 4 | 1 | 1 | 2 | 33:59 | 3 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 4 | 1 | 0 | 3 | 26:40 | 2 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 4 | 0 | 1 | 3 | 40:58 | 1 |

გუშინ შედგა გაპროტესტებული მატჩი: „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 20:8.



სურათზე: მოსკოველი და კიეველი რეგბისტების შეხვედრის მომენტი. ზ. მგელაძე (ბურთით ხელში) კიეველთა ჩასათვლელ მოედნისკენ მიიწევს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ფეხბურთი

# საქართველოს ჩემპიონობა

მოგვყავს გათამაშების განვლილი ტურების ტექნიკური შედეგები:

## I-X ადგილები

**20 ოქტომბერი.** „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 1:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 5:3, „მერცხალი" (მახარაძე) — „სინათლე" (თბილისი) 1:0.

**23 ოქტომბერი.** „კოლხეთი" (ცხაკაია) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0, „სინათლე" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0, „ფეიქარი" (წულუკიძე) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:0, „მესხეთი" (ახალციხე)— ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) 2:2, „განთიადი" (ბორჯომი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1.

**26 ოქტომბერი.** ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1.

**30 ოქტომბერი.** „განთიადი" (ბორჯომი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 3:3, „შუქურა" (ქობულეთი) — ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „მესხეთი" (ახალციხე)—„ფეიქარი" (წულუკიძე) 3:1, „გურია" (ლანჩხუთი)—„სინათლე" (თბილისი) 2:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0.

**3 ნოემბერი.** ლანჩხუთის „გურიამ" დაამარცხა წულუკიძის „ფეიქარი" — 2:1.

## XI-XXIV ადგილები

**20 ოქტომბერი.** „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „დინამო" I (თბილისი) 5:0, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — ასკ (თბილისი) 0:1.

**23 ოქტომბერი.** „დინამო" I (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:2, ასკ (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:2, „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ნარინჯი" (ბათუმი) 1:0, „ოდიში" (ზუგდიდი) — „დინამო" (ქუთაისი) 1:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ისანი" (თბილისი) 4:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მალაროელი" (ჭიათურა) 1:2.

**26 ოქტომბერი.** „ისანი" (თბილისი)—„ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:0.

**30 ოქტომბერი.** „მალაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" I (თბილისი) 0:1, „ისანი" (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:0, „ნარინჯი" (ბათუმი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 0:0, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „ირისთონი" (ცხინვალი) 1:1, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ასკ (თბილისი) 3:1. ქუთაისის „დინამოს" წაგება ჩაეთვალა ტყვარჩელის „მეშახტესთან" შეხვედრაში.

## I ჯგუფი

### II ქვეჯგუფი

„ზემო ქართლი" (ხაშური) — „სულორი" (ვანი) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „ლაითური" (მახარაძე) 2:3, „სამცხე" (აწყური) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:2.

## ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური გათამაშება

### I ქვეჯგუფი

ადიგენი — კასპი 0:1, სიღნაღი — ადიგენი 5:1, კასპი — ახალქალაქი 1:0. სიღნაღის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ახალქალაქთან შეხვედრაში.

### II ქვეჯგუფი

„ავიატორი" (ქუთაისი) — თერჯოლა 3:3, ქედა — აბაშა 0:2, თერჯოლა — „დინამო" (ოჩამჩირე) 1:1.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა" (ქობულეთი) | 13 | 8 | 4 | 1 | 32—22 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 12 | 7 | 5 | 0 | 21—9 | 19 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 12 | 5 | 6 | 1 | 16—10 | 16 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 13 | 5 | 3 | 5 | 12—13 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 13 | 3 | 4 | 6 | 13—16 | 10 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 12 | 2 | 6 | 4 | 13—17 | 10 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 13 | 2 | 6 | 5 | 20—25 | 10 |
| „სინათლე" (თბილისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 19—11 | 9 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 13 | 1 | 7 | 5 | 13—19 | 9 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 12 | 3 | 2 | 7 | 16—24 | 8 |

XI-XXIV ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 7 | 5 | 1 | 1 | 14—6 | 11 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 7 | 4 | 2 | 1 | 7—5 | 10 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 8 | 4 | 1 | 3 | 11—9 | 9 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 8 | 3 | 3 | 2 | 10—8 | 9 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 8 | 4 | 0 | 4 | 12—7 | 8 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 7 | 3 | 2 | 2 | 7—8 | 8 |
| „ისანი" (თბილისი) | 7 | 3 | 1 | 3 | 11—12 | 7 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 7 | 2 | 2 | 3 | 8—11 | 6 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—6 | 5 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 6 | 1 | 3 | 2 | 9—9 | 5 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 7 | 2 | 1 | 4 | 11—13 | 5 |
| „დინამო" I (თბილისი) | 7 | 2 | 0 | 5 | 7—19 | 4 |
| ასკ (თბილისი) | 7 | 1 | 1 | 5 | 6—11 | 3 |

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

საბოლოო ცხრილები

I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 22 | 17 | 2 | 3 | 42—18 | 36 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 22 | 16 | 3 | 3 | 52—14 | 35 |
| „ალაზანშენი" (თელავი) | 22 | 13 | 2 | 7 | 36—31 | 28 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 22 | 10 | 5 | 7 | 35—34 | 25 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 22 | 9 | 6 | 7 | 28—30 | 24 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 22 | 10 | 3 | 9 | 36—27 | 23 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 22 | 6 | 9 | 7 | 15—25 | 21 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 22 | 7 | 6 | 9 | 39—43 | 20 |
| „სამცხე" (აწყური) | 22 | 6 | 7 | 9 | 23—34 | 19 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 22 | 4 | 7 | 11 | 10—14 | 15 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 22 | 4 | 5 | 13 | 16—25 | 13 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 22 | 1 | 3 | 18 | 25—62 | 5 |

II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აერო" (გალი) | 24 | 15 | 8 | 1 | 40—15 | 38 |
| „ლაითური" (მახარაძე) | 24 | 15 | 7 | 2 | 35—17 | 37 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 24 | 13 | 7 | 4 | 48—28 | 33 |
| „სულორი" (ვანი) | 24 | 11 | 8 | 5 | 32—22 | 30 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 24 | 11 | 5 | 8 | 38—25 | 27 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 24 | 10 | 7 | 7 | 27—37 | 27 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 24 | 10 | 6 | 8 | 42—29 | 26 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 24 | 8 | 8 | 8 | 40—37 | 24 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 24 | 8 | 6 | 10 | 34—37 | 22 |
| „ციხარტყელა" (თბილისი) | 24 | 11 | 0 | 13 | 30—34 | 22 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 24 | 4 | 3 | 17 | 26—46 | 11 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 24 | 4 | 1 | 19 | 22—54 | 9 |
| „ციხკარა" (ბათუმი) | 24 | 2 | 2 | 20 | 12—45 | 6 |

# ხელბურთელთა საერთაშორისო...



## მეკარეთა დუელში იმარჯვებს არნოშტი

ჩეხოსლოვაკიელ ხელბურთელებს თბილისელები პირველად 1961 წლის ნოემბერში გაეცნენ. ეს იყო პლზენის „სპარტაკ-სოკოლოვო", საუცხოო საკლუბო კოლექტივი, რომელშიც მრავალი პირველხარისხოვანი მოთამაშე შედიოდა. უფრო მეტიც, — ქართველმა ხელბურთელებმა სწორედ მათგან შეიძინეს ბევრი რამ სასარგებლო, რომელთაგან მთავარი იყო ფლანგებზე თამაშის ახლებური გადაწყვეტა. ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ჩვენი გარემარბების ი. ფხაკაძისა და ლ. კარტოზიას შეტევები უფრო აგრესიული და დახვეწილი გახდა. 2 წლის თავზე ჩეხოსლოვაკიელები კვლავ გვეწვივნენ — ჩამოვიდა გოტვალდოვის სპორტული კლუბის „ტე გოტვალდოვის" კოლექტივი. 1964 და 1965 წლებში ქართველი ხელბურთელები იყვნენ ჩეხოსლოვაკიაში საპასუხო ვიზიტით და ამჯერადაც საკლუბო გუნდებთან ჰქონდათ საქმე. სულ გაიმართა 12 შეხვედრა, რომელთაგან ჩვენებმა 6 მატჩი მოიგეს, 5 წააგეს და 1 ფრედ დაამთავრეს.

და აი, ახალი შეხვედრაც, გუშინწინ. მართალია, ორი თბილისელი (ცერცვაძე და აბაიშვილი) ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებს IV მსოფლიო ჩემპიონატიდან იცნობდა, მაგრამ საქართველოს გუნდი მას მანამდე არ შეხვედრია. თუ რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენს ეს კოლექტივი, მოკლედ შედგენილი სავიზიტო ბარათიდანაც ნათლად ჩანს: 1954 წელს, მსოფლიოს II ჩემპიონატში — III საპრიზო ადგილი, 1958 წელს, III ჩემპიონატში და 1961 წელს, IV ჩემპიონატში — II, 1964 წელს, V ჩემპიონატში — III ადგილი. აი, ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე ქართველ ხელბურთელებს გუშინწინ და გუშინ სპორტის სასახლეში გამართულ მატჩებში.

მასპინძლებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს თანაბარი მეტოქეობა გაეწიათ სტუმრებისთვის, მაგრამ შემდეგ ჩეხოსლოვაკიელთა უპირატესობა აშკარა გახდა და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 26:19 (12:11). ჩვენი ხელბურთელები მხოლოდ ორჯერ დაწინაურდნენ: პირველი ტაიმის თავში (3:1) და ბოლოში (11:10). უნდა ითქვას, მათი გამოსვლა ასე უფერული როდი იქნებოდა, ამ საერთაშორისო შეხვედრების წინ წვრთნის ნორმალური პირობები რომ ჰქონოდათ. ამას ისიც დაემატა, რომ ვარჯიშის დროს ფეხი დაიზიანა დაცვის საუკეთესო მოთამაშემ ა. ექსეულიძემ და მატჩებში მონაწილეობა ველარ მიიღო. პირველ შეხვედრაში განსაკუთრებით ისახელა თავი ჩეხოსლოვაკიელთა მეკარემ არნოშტმა.

1964 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სიმბოლურ ნაკრებში არნოშტთან ერთად დაასახელეს თბილისელი მეკარე ჯ. აბაიშვილიც. ახლა სპორტის სასახლეში მათი თავისებური დუელი გაიმართა. არნოშტმა ბრწყინვალედ დაიცვა საპატიო ტიტული, აბაიშვილზე კი ამას ვერ ვიტყვით. იგი ერთობ დუნედ თამაშობდა. არც მისი შემცვლელი ა. სუციშვილი იყო მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენს გუნდში კვლავ დიდ ყურადღებას იქცევს ა. ბუნაძე. რაც დრო გადის, ეს ახალგაზრდა სპორტსმენი უფრო და უფრო მახვილგონივრულად და ოსტატურად თამაშობს.

სტუმართაგან პირველ მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ბრუნამ (7 გოლი), მასპინძელთაგან კი — ცერცვაძემ (5).

გ. ირინაული.

• • •

სურათზე: ჩეხოსლოვაკიელთა მეკარე არნოშტი ამჯერად უძლური გამოდგა: ანთაძის გარღვევა გოლით დაგვირგვინდა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გუშინ...

გაიმართა მეორე მატჩი. ამჯერად იგივე ხელბურთელები პრაღისა და თბილისის ნაკრებთა სახელით გამოვიდნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 23:21 (13:12).



ა. მარტყოფლიშვილი მორიგ ილეთს უტარებს თავის „მსხვერპლს".

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## იაპონელი სამბისტები თბილისში

იაპონიის სამბისტთა ნაკრების მწვრთნელი არც ერთ წუთს უქმად არ კარგავს...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფოტო თვალით



# ფეხბურთი 1966

## ევროპის პირველობის პროგრამით

**ბუქარესტში** შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი VI ჯგუფის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდები.

მატჩი მოიგეს რუმინელებმა—4:2.

## 1:0 და ტრადიციული... ჩხუბი

**გლაზგო.** შოტლანდიის უძლიერესი გუნდების — ადგილობრივი „სელტიკისა" და „გლაზგო რეინჯერსის" მორიგი შეხვედრა (31 ოქტომბერს), ამჯერად, შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშების ფინალში, ახალი სკანდალით აღინიშნა: „ჰემპდენ-პარკის" ტრიბუნებზე გაიმართა ამ კლუბების ქომაგთა ტრადიციული ჩხუბი.

ჩხუბის დროს გამოიყენეს ბოთლები და კონსერვის ქილები. პოლიციამ ძლივს აღადგინა წესრიგი. დაპატიმრებულია 30 კაცი, ხოლო 25 საავადმყოფოში მოხვდა. მიუხედავად ამისა, მატჩი ფეხბურთელებმა ბოლომდე ითამაშეს.

მინიმალური უპირატესობით (პირველ ნახევარში „სელტიკის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაკბრაიდმა გაიტანა ერთადერთი გოლი) გაიმარჯვა „სელტიკმა" და შოტლანდიის საფეხბურთო ლიგის თასი მოიპოვა.

საყურადღებოა, რომ „სელტიკისა" და „გლაზგო რეინჯერსის" შეხვედრები როგორც ჩემპიონატში, ისე თასზე, არასოდეს ჩატარებულა უჩხუბრად.

## მოყვარულთა თასზე

*იმ ქვეყნებს შორის, სადაც პროფესიული ფეხბურთია დამკვიდრებული, მიმდინარეობს შეჯიბრება ევროპის თასზე მოყვარულთა ნაკრები გუნდების დონეზე.*

*ინგლისელთა და ავსტრიელთა შეხვედრა (ლონდონში) დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით—2:0. თასის ნახევარფინალში მაინც ავსტრიელები მოხვდნენ, რომელთაც პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:0.*

*თურქებმა თავიანთ მინდორზე სძლიეს იუგოსლაველებს — 2 : 0.*

## „სკეიდმა" ყველას აჯობა

პირველად თავისი არსებობის ისტორიაში ოსლოს „სკეიდმა" მოიპოვა ნორვეგიის ჩემპიონობა. აქამდე ეს კლუბი შვიდჯერ იყო ნორვეგიის თასის მფლობელი.

## ბეკენბაუერი საუკეთესოა

**გერმანიის** ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა ფეხბურთის სპეციალისტებისა და სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა: „ვინაა ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი რესპუბლიკაში?"

I ადგილზე ერთხმად იქნა დასახელებული ნახევარმცველი ბეკენბაუერი (მიუნჰენის „ბაიერნი") — 315 ხმა. II ადგილზეა ცენტრალური თავდამსხმელი ზეელერი („ჰამბურგერ შპორტფერაინი").

ამავე დროს გამოცხადდა, რომ ბეკენბაუერი არ გადავა იტალიაში, სადაც მას ნახევარ მილიონ დოლარს პირდება „მილანი". ასეთი თანხა ჯერ არ შეუძლევიათ რომელიმე გერმანელი ოსტატისათვის. „მილანს" არა აქვს უფლება იყიდოს ახალი უცხოელი ფეხბურთელი 1970 წლამდე, მაგრამ ბეკენბაუერის გადაბირების შემთხვევაში იგი იტალიის ფედერაციასთან აპირებს „საქმის გაჩარხვას".

## მსოფლიო ჩემპიონატის ექო

# ფაკეტი: მე ბრალს ვდებ!

**ვაქვეყნებთ იტალიელი ჟურნალისტის ფერუჩიო ბერბენის წერილს, რომელშიც ავტორი ეხება ინგლისის ჩემპიონატში იტალიელ ფეხბურთელთა მარცხის მიზეზებს.**

— იტალიის ნაკრებს ჩვენ მივეცით ბრწყინვალე სპორტსმენი, მის მაგიერ კი რაღაც ნანგრევი დაგვიბრუნდა! — განაცხადა „ინტერნაციონალეს" მცველის ფაკეტის შესახებ კვარენგიმ, კაცმა, რომელსაც მილანის კლუბის სპორტსმენთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა ევალება. იტალიის ნაკრების № 3 ფეხბურთელი მწვრთნელმა ფაბრიმ მართლაც შავ დღეში ჩააგდო. ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და ვინ იცის, იქნებ იგი ხსნიდეს კიდეც იტალიელთა მარცხს ჟიულ რიმეს თასის გათამაშებაში.

„ინტერნაციონალეს" ექიმი ირწმუნება, იტალიის ჩემპიონატის დასასრულს ფაკეტი შესანიშნავ ფორმაში იყო, რაც სწორმა, თანმიმდევრულმა წვრთნამ განაპირობაო.

რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, ინგლისში? სამშობლოში რომ დაბრუნდა, ფაკეტის ვეღარ იცნობდით. ფიზიკურად გატეხილი იყო, სპორტული ფორმა დაკარგა. მწვრთნელმა ერერამ იგი რამდენიმე კვირა დაასვენა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა თავისი აღზრდილის ფეხზე დაყენება. „ინტერნაციონალემ" კვლავ გამოითხოვა ფაკეტი. იტალიის პირველობაში და, განსაკუთრებით, მოსკოვის „ტორპედოსთან" მატჩში ფეხბურთის მოყვარულებმა კვლავ იხილეს ეს საუკეთესო მოთამაშე.

იტალიის ნაკრების წარუმატებლობის ნამდვილ მიზეზებს ნათელს ჰფენს საუბარი „ინტერნაციონალეს" მცველთან:

— კაცმა რომ თქვას, ამის ახსნა ძნელია,— ამბობს ფაკეტი.—ატმოსფერო ძალიან დაძაბული და მძიმე იყო. რაც მთავარია, სტადიონზე, მატჩის წინ, უკვე დაქანცული და გაწამებული ვიყავი. შეიძლება იმიტომ, რომ წვრთნის მეთოდები შემიცვალეს. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ასეთ უიმედო სპორტულ ფორმაში ჯერ არასდროს ვყოფილვარ.

— მსოფლიო პირველობის მატჩებში იგრძნობოდა, რომ თქვენ გულისყურს ვერ იკრებდით.

— მართალია. შეიძლება ამის მიზეზიც სწორედ იგივე დაძაბული ატმოსფერო გახლდათ. ჩვენი, იტალიელებისა, სწამდათ, ვარაუდობდნენ, რომ ფინალში გავიდოდით. ერერა სხვაგვარ თამაშს მასწავლიდა, იქ კი, ინგლისში, ყოველ მატჩში სულ სხვას მავალებდნენ. იერიშის უფლება არ მქონდა, მხოლოდ დაცვაში უნდა მეთამაშა.

იტალიის წარუმატებლობას ინგლისში არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე მიზეზი აქვს. ეს მიზეზები არ დაზუსტდა მხოლოდ ნაკრების მოთამაშეთა წყალობით. როგორც გაირკვა, ლონდონში საიდუმლო მოლაპარაკება ჩატარდა. იტალიელები აღმოჩნდნენ მათ ჯგუფში, ვისაც ჩემპიონატის ორგანიზატორები თავაზიანად უხდიდნენ მადლობას ასპარეზობაში მონაწილეობისათვის და აი, გამოსათხოვარ დარბაზობაზე ფაბრიმ თავის გაწამებულ ფეხბურთელებს მოსთხოვა, სამშობლოში რომ დაბრუნდებით, პრესას არავითარი ახსნა-განმარტება არ მისცეთო. დღემდე მათგან არც ერთს მართლაც არაფერი უთქვამს.

ერთადერთმა ფაკეტიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი პირველია როგორც ფეხბურთელი და პირველია მოქალაქეობრივი გამბედაობითაც.

ნაკრების კაპიტანი სალვადორე იტალიის ტელევიზიით გამოვიდა და შეკითხვებს პასუხი გასცა მხოლოდ ბანალური სიცრუით: ჩვენს მარცხში იტალიის ჩემპიონატია დამნაშავეო. განა შნელინგერი და ჰალერი არ გამოდიოდნენ ამ „მძიმე" ჩემპიონატში?

ამ მარცხმა ცხარე ცრემლით ატირა იტალიელი გულშემატკივრები, რომლებიც თავიანთ კერპებს დამპალი პამიდორებით შეეგებნენ. მიუხედავად ამისა, დღემდე არავის სურს სიმართლეს გაუსწოროს თვალი, არავინ აპირებს, ბოლოსდაბოლოს, სერიოზულად შეხედოს საქმეს. დიდი უცნაური ქვეყანაა!

**— მე ბრალს მდებენ საბოტაჟში ფაბრის გეგმების წინააღმდეგ, რომელმაც არ ისურვა „ინტერნაციონალეს" კორპუსს დაყრდნობოდა,— გვიამბობს ფაკეტი. — ერთი სიტყვით, თურმე მე გამიყიდია ნაკრები! ვიღაც რომაელმა ჟურნალისტმა ჰკითხა ფაბრის, სწორია თუ არა ეს ამბავიო და მანაც დაუდასტურა. კმარა! მე სინდისი სუფთა მაქვს, თავი არასოდეს დამიზოგავს. აბა, რა დამნაშავე ვარ, თუ ჩემი უნარის მაქსიმუმი მინიმუმამდე დაიყვანეს?**

მაშ, ვინღაა დამნაშავე?

ჩემი აზრით, იტალიელთა მარცხს სამი მთავარი მიზეზი აქვს:

1) მზადების მცდარი გზა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ მხოლოდ ამხანაგური შეხვედრები ტარდებოდა. ამ შეხვედრების მიზანი კი მარტო ფულის მოხვეტა და იოლი გამარჯვებებით გუნდის გულის გაკეთება იყო. დარემში ჩასვლის შემდეგ თავს უფრთხილდებოდნენ, ვარჯიშს უკლეს, ერთი სიტყვით, ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც არ უნდა გაეკეთებინათ.

2) დაძაბული ატმოსფერო. დარემში იტალიელი ფეხბურთელები ერთიანად აიტანა შიშმა, ვაი თუ ვერ მოვიგოთ, ვაი თუ მეოთხედფინალს ვერ მივაღწიოთო. კორეელებს რომ შეხვდნენ, მაშინ კი მხოლოდ ერთი აზრით იყვნენ შეპყრობილი: აზიელებს არ მოვაგებინოთო.

3) ფაბრის მღელვარება. როცა ივლისის დამდეგს, ჟურნალისტები გვეკითხებოდნენ, ჟიულ რიმეს თასისათვის ბრძოლაში იტალიელებს გამარჯვების რა შანსი აქვთო, ჩვენ ვპასუხობდით, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ფაბრის სიმშვიდესა და თვითკონტროლზე. სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვი უსაფუძვლო როდი გამოდგა. მწვრთნელმა ფეხბურთელებსაც გადასდო შიში და მღელვარება. ფაბრი ყოველი შეხვედრისთვის ცვლიდა გუნდის შემადგენლობას. სამ მატჩში მან გამოიყვანა 18 მოთამაშე (ყველა, გარდა ორი სათადარიგო მეკარისა და ორი ახალგაზრდა ფეხბურთელის — იულიანოსა და რიცოსი. ეს ორი სხვებზე ნაკლებ იყო გაწამებული): რაც მთავარია, მუდამ ბოლო წუთებში წყდებოდა, თუ ვის უნდა ეთამაშა იმ დღეს. დარწმუნებული ვარ, მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე რომ გეკითხათ, ფაბრი თავადაც კი ვერ გეტყოდათ გუნდის შემადგენლობას. სასაცილო და ნაღვლიანი ამბავია. ფაკეტის დრამა იტალიის მთელი ნაკრების დრამაა.

ახლა?

ფაბრი თვეში 2 მილიონ ლირას იღებს და აქვს ხელშეკრულება 1971 წლამდე. მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიის პრესაში გამოქვეყნდა ბრალდება ნაკრების ექიმის მიმართ, რომელიც ინგლისში აპირებდა გუნდის წევრებისთვის რაღაც ნემსების გაკეთებას, ფედერაციამ გადაწყვიტა — ფაბრი ჩამოაშოროს ნაკრებს. ვინ დაიკავებს მის ადგილს — ელენიო ერერა, ჯინო ვიანი, თუ ფულვიო ბერნარდინი?

მსოფლიო ჩემპიონატში ყოველი მარცხის შემდეგ მწვრთნელი უნდა შეიცვალოს. მაგრამ არის კიდევ ერთი კაცი, უფრო ზევით, ის, ვინც ფაბრი აირჩია მწვრთნელად. ეს გახლავთ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე პასკუალე. იგი ცდილობს მოუძებნოს ალიბი იტალიელთა ნაკრების დაუჯერებელ მარცხს და ყველა უბედურების სათავედ ასახელებს ისევ და ისევ იტალიის ჩემპიონატს, რომელმაც, მისი აზრით, მეტისმეტად ბევრი დრო მოითხოვა წვრთნისთვის და მეტად დიდი ძალა შეიწირა. პირდაპირ უნდა ითქვას, არაა ლამაზი ყველაფერში ბრალი დასდო ჩემპიონატს, რომელსაც „თავის მართლება" არ შეუძლია.

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — ფაბრი და ფაკეტი ეკამათებიან ერთმანეთს; ქვევით — აი, ასე შეხვდნენ სამშობლოში დაბრუნებულ იტალიელებს.



## ფეოლა:

### უდანაშაულო ვარ!

## აველანჟი:

### ჩემი ბრალია!

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ბრაზილიაში დღესაც კვლავინდებურად ბობოქრობს ვნებები. ვისენტე ფეოლა, რომელსაც ფეხბურთის ფანატიკოსები... სახრჩობელაზე აყვანას დაჰპირდნენ, ბრაზილიის ნაკრების მარცხს მხოლოდ პელესა და მისი კოლეგების მიმართ მსაჯების არაობიექტური დამოკიდებულებით ხსნის.

რამდენადმე სხვა პოზიცია უჭირავს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს. აი, რა განაცხადა მან ახლახან ერთ-ერთ ინტერვიუში:

— ჩვენს წარუმატებლობაში მხოლოდ არბიტრები როდი არიან დამნაშავე. შეიძლება ნახევარფინალი ვერც მაშინ გადაგველახა, მსაჯობა რომ ობიექტური ყოფილიყო. ეგ კი არა და, იქნებ, მეოთხედფინალშიც დაგვემთავრებინა თამაში. ჩვენ მოგვატყუა მრავალი წლის წარმატებამ. უნდა გითხრათ, პირადად მე ძალზე ოპტიმისტურად გახლდით განწყობილი და ღრმად მწამდა ბრაზილიელთა მესამე გამარჯვება ჟიულ რიმეს თასისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ, ჩვენი ნაკრების მარცხში მეც მიმიძღვის ბრალი. თუმცა, მწამს ისიც, რომ ეს დეპრესია დიდხანს არ გასტანს და ბრაზილია კვლავ დაიბრუნებს დაკარგულ დიდებას.



# ნ. კ. ინჯგია

გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალოსანი ნოდარ კაპიტონის ძე ინჯგია.

ნ. ინჯგია დაიბადა 1934 წელს. 1952 წელს იგი შევიდა საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმში, მაგრამ II კურსიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და მხოლოდ არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1958 წელს, განაგრძო სწავლა, ამჯერად, მწვრთნელთა სკოლაში. 1966 წელს ნოდარმა დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ნ. ინჯგია ბევრჯერ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი ძალოსნობაში, საქართველოს რეკორდსმენი და რესპუბლიკის ნაკრების წევრი.

**ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.**

გაზეთ „ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 7 ნოემბერს.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

## საინტერესო ტურნირი

საქართველოს განათლების სამინისტროს ინიციატივით თბილისში ჩატარდება მოსკოვის, ლენინგრადის, ესტონეთისა და საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ტურნირი. შეჯიბრების მიზანია ფეხბურთელთა მზადება 1967 წლის საკავშირო სპარტაკიადისთვის. ტურნირში მონაწილეობენ 1950-51 წლებში დაბადებული ბავშვები.

გათამაშების კალენდარი ასეთია:

„ლოკომოტივის" სტადიონი. 6 ნოემბერი. მოსკოვი — ლენინგრადი (დასაწყისი 12 საათზე), საქართველო— ესტონეთი (დასაწყისი 14 საათზე).

„ლოკომოტივის" სტადიონი. 8 ნოემბერი. ლენინგრადი— ესტონეთი (დასაწყისი 12 საათზე).

„დინამოს" სტადიონი. საქართველო — მოსკოვი (დასაწყისი 15 საათსა და 45 წუთზე).

„ლოკომოტივის" სტადიონი. 9 ნოემბერი. ესტონეთი — მოსკოვი (დასაწყისი 14 საათზე), საქართველო — ლენინგრადი (დასაწყისი 16 საათზე).

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და თანამშრომლები იუწყებიან სპორტის ოსტატ

**ნოდარ კაპიტონის ძე ინჯგიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**რაგბი.** სსრ კავშირის პირველობა. 5 ნოემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 10 ს. „ლოკომოტივი" (თბილისი)— უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — 12 ს. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (კიევი) — 14 ს. აქვე მოეწყობა ჩემპიონატის დახურვა.

**ჩოგბურთი.** სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს მოედნები (მარჯანიშვილის ქ. № 29). **5-6 ნოემბერი. ქალაქის ახალგაზრდა სპორტსმენთა პირადი პირველობა.** დასაწყისი 17 ს., კვირას — 10 ს.

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი)— „შახტიორი" (დონეცკი). **7 ნოემბერს** — სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. **8 ნოემბერს** — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 30 წ. 26 ოქტომბრით დათარიღებული ბილეთებივარგისია.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 06124